



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

14 მაისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №77

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „ბიბლუსი“-ს შორის 2009 წლის 5 მაისს გაფორმებული სასყიდლიანი იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს V-ე თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „ბიბლუსი“-ს შორის 2009 წლის 5 მაისს გაფორმებული სასყიდლიანი იჯარის ხელშეკრულებაში და შ.პ.ს. „ბიბლუსი“-ს დამატებით გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობაში ქ. ოზურგეთის აპ. წულაძის (9 აპრილის სახელობის პარკი) ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6887 კვმ. მიწის ნაკვეთიდან 25.25 კვმ. მიწის ნაკვეთი, წიგნის მაღაზიის ფუნქციონირებისათვის.
2. შეთანხმება სასყიდლიანი იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე თან ერთვის.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი